**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №11**

**2026 წლის 28 მაისი**

**ქ. დმანისი**

**„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/03/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016442) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული "დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების" (დანართი N1) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„3. განყოფილება საქმიანობას ახორციელებს ამ დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**დმანისის მუნიციპალიტეტის** **პაატა ყულიაშვილი**

**საკრებულოს თავმჯდომარე**